




საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
 LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI



№ 01-01/07

„05“ მაჟი 2018 წ.

ბ რ მ ა ნ ე ბ ა

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

„უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, 2018 წლის 01 მარტის №01-10/82 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი „ბიზნესის ადმინისტრირებისა და „მცირე ბიზნესის მართვის“ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების კვლევების შედეგების ანალიზის შუალედური ანგარიშის საფუძველზე

ვ ბ რ მ ა ნ ე ბ

1. შეიქმნას საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეფასების უწყისების შეფასების უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ბელა მოსია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (ჯგუფის ხელმძღვანელი).
 - ბ) დალი ბერანძე-სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.
 - გ) დარეჯან ახალაია - ფაკულტეტის მდივანი.
 - დ) ანა ალანია - ფაკულტეტის მდივანი.
2. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შედგენა.
3. დაევალოს სამუშაო ჯგუფს სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შესაბამისად ჩაატაროს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების კომპლექსური კვლევა:
 - ა) სტუდენტთა მოსწრება ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში.
 - ბ) ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების ერთი და იმავე ჯგუფის მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შედარებითი ანალიზი.
 - გ) პროფილის მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი.




დ) სტუდენტთა შიდა და საუნივერსიტეტო მობილობის პირობებში ძირითადი სპეციალობისაგან სრულიად განსხვავებული პროფილის (დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტები) სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი .

4. დაევალოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს (ბ.მოსია), კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების წარმოდგენა 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს 2018 წლის 01 სექტემბრისა.
5. დაევალოს კანცელარიის უფროსს (ე. ჭანია) ბრძანება გადასცეს დაინტერესებულ პირებს.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, თბილისი, უზნაძის ქ. 52

თეონა ხუფენია

რექტორი


თ. ხუფენია



სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ქალბატონ თეონა ხუფენიას

წარმოგიდგენთ შუალედურ ანგარიშს „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შესახებ (დანართი1)

ბელა მოსია



ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.



„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში

კვლევის მიზანი იყო „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება

შესწავლილ იქნა „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და „მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ბოლო 5 წლის შეფასების უწყისები (2013-2014, 2014-2015, 2015-2016, 2016-2017, 2017-2018) პროგრამის შემადგენელი ყველას სასწავლო კურსის სწავლის შედეგის მაჩვენებლით ჯამურად

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესით“ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულებით.

მიღებული ინფორმაცია:

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. საუკეთესო სტუდენტების (91 -100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ზე დაბალია და შეადგენს 5% -ს.

2. დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების (51-60 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტია და შეადგენს საშუალოდ 23%-ს.

3. (61-70 ქულა - რაოდენობა შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 28%-ს

4. (71-80 ქულა) რაოდენობა მეტწილად შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 26%-ს.

5. (81-90 ქულა) რაოდენობა შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 18%-ს

„მცირე ბიზნესის მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. საუკეთესო სტუდენტების (91 -100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ზე მაღალია და შეადგენს 21% -ს.

2. დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების (51-60 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტია და შეადგენს საშუალოდ 14%-ს.

3. (61-70 ქულა - რაოდენობა ნაწილობრივ შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 10%-ს

4. (71-80 ქულა) რაოდენობა მეტწილად შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 25%-ს.



5. (81-90 ქულა) რაოდენობა შესაბამისობაშია სამიზნე ნიშნულთან და შეადგენს 30%-ს

ინფორმაციების შეჯერებით, შეიძლება ითქვას, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან შედარებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრება უფრო მაღალია, რაც აიხსნება:

- ა) მაგისტრატურაზე ხდება საუკეთესო სტუდენტების შერჩევა
- ბ) მაგისტრატურაზე სტუდენტთა სწავლის მოტივაცია განსხვავებულია ბაკალავრიატისაგან: მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას
- გ) ტრადიციულად მაგისტრატურაში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, რაც სტუდენტებთან მუშაობის უკეთეს პირობებს ქმნის.

მიღებული ინფორმაცია გვაძლევს საშუალებას დადგინდეს სასწავლო უნივერსიტეტის რეიტინგი და არის საშუალო.

„ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაბალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების (51-60 ქულა) რაოდენობის 30%-ი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სირთულის მაჩვენებელიც, ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების კვლევა კომპლექსურად:

- ა) სტუდენტთა მოსწრება ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში
- ბ) ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტების ერთი და იმავე ჯგუფის მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების შედარებითი ანალიზი.
- გ) პროფილის მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი
- დ) სტუდენტთა შიდა და საუნივერსიტეტო მობილობის პირობებში ძირითადი სპეციალობისაგან სრულიად განსხვავებული პროფილის (დამატებითი სპეციალობისა და თავისუფალი კრედიტები) სასწავლო კურსებში მიღებული სტუდენტთა შეფასებების შედარებითი ანალიზი





2013-2014	51-60	61-70	71-80	81-90	91-100
ბიზნესის ადმინისტრირება- 199	37 18,1%	47 26,6%	55 27,6%	40 20,1%	10 5%
მაგისტრატურა 8	1 12,5%	-----	4 50%	2 25%	1 12,5%
2014-2015	51-60	61-70	71-80	81-90	91-100
ბიზნესის ადმინისტრირება- 189	47 24,9%	52 27,5%	43 22,7%	38 20,1%	9 4,7%
მაგისტრატურა 18	3 16,6%	2 11,2%	3 16,6%	7 38,9%	3 16,6%
2015-2016	51-60	61-70	71-80	81-90	91-100
ბიზნესის ადმინისტრირება- 198	60 30,3%	51 25,7%	40 20,2%	35 17,7%	12 6%
მაგისტრატურა 16	2 12,5%	3 18,8%	3 18,8%	4 25%	4 25%
2016-2017	51-60	61-70	71-80	81-90	91-100
ბიზნესის ადმინისტრირება- 187	55 29,4%	41 21,9%	42 22,5%	37 19,8%	12 6,4%
მაგისტრატურა 14	2 14,3%	2 14,3%	3 21,4%	4 28,6%	3 21,4%
2017-2018	51-60	61-70	71-80	81-90	91-100
ბიზნესის ადმინისტრირება- 183	62 33,8%\A	48 26,2%	41 21%	26 14,2%	6 3,3%
მაგისტრატურა 10				7 70%	3 30%